საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2023 წელი
I კვარტალი

05.06.2023

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2023 წლის I კვარტალი)

2023 წლის I კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 14.4 პროცენტით გაიზარდა და 44.1 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2023 წლის I კვარტალში მისი მოცულობა 15.9 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 13.0 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



2023 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 69.3 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 14.0 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 16.7 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 49.2 პროცენტი, საშუალოზე - 23.0 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 27.8 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2023 წლის I კვარტალი



2023 წლის I კვარტალში საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 24.1 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.0 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 15.7 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.9 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2023 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 716.1 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.3 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.3 პროცენტი ქალია, ხოლო 56.7 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 44.0 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20.7 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 35.3 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 677.2 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.3 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 3 645.8 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26.2 პროცენტით მეტი).

2023 წლის I კვარტალში, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1 759.1 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 279.4 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 395.5 ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 208.8 ლარით).

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 1 899.4 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 2 030.1 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 368.7 ლარი.

05.06.2023

2023 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 37.6 პროცენტი მოდის ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე, მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 32.3 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 7.8 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 4.9 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.5 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 3.4 პროცენტიანი წილით, ხოლო 9.5 პროცენტი დანარჩენ დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2023 წელი I კვარტალი



05.06.2023

2023 წლის I კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.2 პროცენტი) და ვაჭრობა (19.2 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (14.9 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (8.9 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 35.8 პროცენტიანი წილი უჭირავს.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2023 წელი I კვარტალი



05.06.2023

2023 წლის I კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ შესაბამისად, 27.9, 12.3 და 10.3 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.2 პროცენტი), აგრეთვე მშენებლობის (8.0 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაციის (5.9 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (4.9 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2023 წლის I კვარტალი



05.06.2023

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



05.06.2023

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება - 2023 წლის I კვარტალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2022 წლის I კვარტალი	2023 წლის I კვარტალი	2023 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2022 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**38 564.3**	**44 134.2**	**114.4**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	162.1	189.3	116.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	355.4	307.3	86.5
დამამუშავებელი მრეწველობა	4 071.6	3 445.6	84.6
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 671.3	1 514.0	90.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	89.2	102.9	115.4
მშენებლობა	1 942.6	2 141.5	110.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	14 099.2	16 601.8	117.8
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 872.0	1 986.0	106.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	428.9	559.0	130.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	161.7	184.4	114.0
საკვებით და სასმელებით მომსახურება	267.2	374.6	140.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	668.0	1 194.6	178.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	364.9	474.6	130.1
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	375.2	461.0	122.9
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	218.4	299.9	137.3
განათლება	133.5	154.6	115.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	361.3	391.2	108.3
ხელოვნება გართობა და დასვენება	11 714.7	14 259.6	121.7
სხვა სახის მომსახურება	35.9	51.3	142.9

05.06.2023

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვლილებას 2023 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2022 წლის I კვარტალი	2023 წლის I კვარტალი	2023 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2022 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**14 088.7**	**15 916.2**	**113.0**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	185.8	202.1	108.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	346.0	283.9	82.1
დამამუშავებელი მრეწველობა	3 507.5	3 373.0	96.2
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	728.6	782.7	107.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	97.6	114.3	117.0
მშენებლობა	2 053.3	2 366.4	115.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2 479.5	3 059.2	123.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 344.4	1 423.6	105.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	432.1	573.3	132.7
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	164.9	198.6	120.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	267.2	374.6	140.2
ინფორმაცია და კომუნიკაცია	632.3	1 142.8	180.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	355.8	404.8	113.8
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	327.3	404.7	123.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	167.3	230.0	137.5
განათლება	140.1	162.9	116.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	665.0	615.8	92.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	591.6	727.2	122.9
სხვა სახის მომსახურება	34.7	49.5	142.6

05.06.2023

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2023 წლის I კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2022 წლის I კვარტალი	2023 წლის I კვარტალი	2023 წლის I კვარტლის ზრდის ტემპი 2022 წლის I კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**673 616**	**716 122**	**106.3**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	11 376	11 242	98.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	11 691	12 090	103.4
დამამუშავებელი მრეწველობა	87 735	87 918	100.2
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 014	15 839	105.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 590	14 979	102.7
მშენებლობა	56 457	57 433	101.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	185 583	199 544	107.5
ტრანსპორტი და დასაწყობება	55 179	58 742	106.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	31 771	35 261	111.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	12 510	13310	106.4
საკვებით და სასმელებით მომსახურება	19 261	21951	114.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	30 702	41 895	136.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	17 188	17 525	102.0
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	21 450	22 680	105.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	18 852	20 638	109.5
განათლება	24 214	24 321	100.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	73 163	73 525	100.5
ხელოვნება გართობა და დასვენება	12 575	16 086	127.9
სხვა სახის მომსახურება	6 074	6 404	105.4

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 80.2 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 5.0 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.7 პროცენტი
- იმერეთი – 2.9 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.0 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს ასევე ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 65.4 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.5 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 8.2 პროცენტი
- იმერეთი – 5.8 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.5 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 65.2 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.3 პროცენტი
- იმერეთი – 6.9 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.8 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი
- კახეთი - 2.8 პროცენტი
- შიდა ქართლი - 2.2 პროცენტი
- მცხეთა-მთიანეთი - 1.6 პროცენტი
- სამცხე-ჯავახეთი - 1.4 პროცენტი
- გურია - 0.9 პროცენტი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0.2

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

- საქმიანობის სექტორები K, O, T, U
- 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

- ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
- ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა.შ.

05.06.2023

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:
თინათინ ქსოვრელი ტელ: 2 36 72 10 (217) E-mail: tksovreli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge